



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #024/13¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ნუგზარ მოსიძე (სტუდენტი)

ფაქტები

საჩივრის ავტორი 2009 წლის 12 აგვისტოს დააკავეს ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო მოხმარებისათვის და გადაიყვანეს გლდანის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. საჩივრის ავტორის განმარტებით, 2011 წლის 04 მაისამდე არ იყო მისი საქმის მასალები ცნობილი. საქმის მასალების გაცნობისას კი აღმოაჩინა, რომ მის მიმართ ბრალის წარდგენასა და დაკითხვას 2009 წლის 05 ოქტომბერს ესწრებოდა ადვოკატი მ. წ., მაშინ, როდესაც მას ადვოკატი მ. წ. არასდროს უნახავს. ახსნა-განმარტებაში საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ არასწორია ადვოკატის მითითება საჩივარში მოყვანილი მოსაზრებების წინააღმდეგობასთან დაკავშირებით, ვინაიდან მ. წ.-ს მონაწილეობა არ მიუღია საქმეში, არ ფლობს ინფორმაციას და მხოლოდ ხელი მოაწერა ბრალის წარდგენისა და დაკითხვის ოქმებს. ადვოკატის მიერ წარმოდგენილ ახსნა-განმარტების თანახმად იგი ახორციელებდა საჩივრის ავტორის ინტერესების დაცვას კანონით დადგენილი წესით, ადვოკატის განცხადებით, გ. ა.-მ გამოხატა თანხმობა, რომ მისი ინტერესები წარმოედგინა სავალდებულო წესით დანიშნულ ადვოკატს და შესაბამისად, ყველა საპროცესო დოკუმენტზე მოაწერა ხელი. ადვოკატის განცხადებით, საქმეში მონაწილეობდა საჩივრის ავტორის დაკითხვისა და ბრალდების წარდგენის დროს, რაც დასტურდება საქმეში არსებული ორდერით, დაკითხვისა და ბრალდების წარდგენის ოქმებზე ხელმოწერებით.

პროცესუალური ისტორია

კლიენტმა შეიტანა საჩივარი ეთიკის კომისიაში და მოითხოვა ადვოკატის დისციპლინირება. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 3(ა), 5(ა) და აპკ-ის 8.5 მუხლების დარღვევის ფაქტზე.

სამართლებრივი შეფასება

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, ასევე კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა. იურიდიული დახმარების შესახებ კანონის თანახმად იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი თავისი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით, სამსახურის დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტები. განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატი მ. წ. დაესწრო გ. ა.-ის დაკითხვასა და ბრალის წარდგენას, რაც დასტურდება მის მიერ ბრალდებულად დაკითხვის ოქმზე ხელის მოწერით, თუმცა საპროცესო მოქმედებაზე ფორმალური დასწრება არ ნიშნავს კლიენტის ინტერესების კვალიფიციურ დაცვას. ადვოკატმა კლიენტის საქმეში ჩართვისას სრულყოფილად

¹ <https://www.gba.ge/pdf/5c484eb390ecb.pdf/5c484eb390ecb.pdf>

უნდა შეისწავლოს საქმის მასალები და დასახოს მოქმედების სტრატეგია კლიენტთან ერთად, მან კლიენტს უნდა განუმარტოს მისი უფლებები და ვალდებულებები. ყოველივე ზემოთ აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქმისწარმოების პირველ სტადიაზე, ამ დროს აუცილებელია კლიენტთან ცალკე გასაუბრება, ადვოკატი უნდა დარწმუნდეს მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის პოზიციაში, აუხსნას მისი ჩვენების მნიშვნელობა, მასთან შეათანხმოს სამოქმედო ტაქტიკა. ადვოკატმა ეთიკის კომისიაში 2013 წლის 16 აპრილს წარმოდგენილ 6 ახსნა-განმატებაში მიუთითა, რომ თავად არ ახსოვს ის ფაქტი საჩივრის ავტორს აუხსნა თუ არა მისი უფლებები და შეუთანხმა თუ არა კლიენტს დაცვის განხორციელების სტრატეგია, ამასთან, საქმიდან არ იკვეთება როგორი მოქმედების ტაქტიკა აირჩიეს. განხილვის კოლეგიის განმარტებით, ადვოკატი მ. წ. ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე დაცვის ფორმალურ ელემენტებზე ამახვილებდა ყურადღებას, ისეთზე, როგორიცაა ბრალდებულად დაკითხვის ოქმზე ხელის მოწერა და საჩივრის ავტორისათვის ბრალის წარდგენის პროცედურაზე დასწრება, ადვოკატს მიაჩნია, რომ ვინაიდან ეს პროცედურები განახორციელა, მან ყველაფერი გააკეთა რაც ევალებოდა. შესაბამისად, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ მას არ აქვს აღქმული ადვოკატის როლი, ამ პროფესიის ბუნება და გ. ა.-ის დაცვისას შემოიფარგლა მხოლოდ ფორმალური მომსახურებით, მას საადვოკატო მომსახურება არ განუხორციელებია გულისხმიერებით.

დასკვნა

ადვოკატის მხრიდან დადგინდა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 3(ა), 5(ა) და აპკ-ის 8.5 მუხლების დარღვევა. ადვოკატ მ. წ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა გაფრთხილება.